

43. საქართველოს პარლამენტის განცხადება

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს მიერ 2001 წლის 12 ოქტომბერს გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს შემდეგს:

1. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროს განცხადებაში მოტანილი ბრალდებები ჩეჩენი ტერორისტების მფარველობისა და ანტირუსული აგრესიული პოლიტიკის განხორციელების თაობაზე დაუსაბუთებელია და წარმოადგენს პოლიტიკურ ზეწოლას, რომლის მიზანია საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვა. ამასთან დაკავშირებით ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის საპასუხო განცხადება.

2. საქართველო ყოველთვის პატივს სცემდა მეგობრულ ურთიერთობებს ორ მეზობელ სახელმწიფოს სორის და ზედმეტი გართულებების თავიდან აცილების მიზნით ერიდებოდა დაუსაბუთებელ ბრალდებებზე მწვავე რეაგირებას. ლუსეთის სახელმწიფო სათათბიროს განცხადებაც მკაცრ შეფასებას იმსახურებს, მაგრამ საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ ამჯერად დუმის დეპუტატების პოლიტიკური ნების გამოხატავს დეზინფორმაცია ედო საფუძვლად. ამის გამო განცხადება აშკარად გასცდა დიპლომატიის ფარგლებს და არ იქნა გამოყენებული შესაძლებლობები, რომლებიც აქვს რუსეთისა და საქართველოს საკანონმდებლო ხელისუფლების.

3. საქართველოს პარლამენტი იტოვებს უფლებას, სრულად გამოიყენოს არსებული რეზერვები, და მოუწოდებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს, პატივი სცეს ქართულ-რუსულ ურთიერთობებში დღემდე მოპოვებულ ფასეულობებს და თავი შეიკავოს მკვეთრი პოზიციის გამოხატვისგან.

4. რაც შეეხება აფხაზეთის კონფლიქტს და მასში რუსეთის მონაწილეობას, საქართველოს მოსახლეობა დღემდე ვერ დარწმუნდა, რომ რუსეთი სიტყვიერი განცხადებების მიუხედავად მომხრეა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა, რადგან ბევრჯერ დადასტურდა რუსეთის დაინტერესება აფხაზი სეპარატისტებისათვის სასარგებლო საქმიანობით. ჩეჩნეთის პრობლემის გაჩენის შემდეგ რუსეთს უფრო ნათლად უნდა დაენახა აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური და იურიდიული სინამდვილე, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ყოფილა რუსეთის მიერ ამ პრობლემათა იდენტურობის აღიარების მცდელობაც კი. ყოველივე ზემოაღნიშნული ადასტურებს რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ ორმაგი სტანდარტის გამოყენებას.

5. საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რუსეთთან საქართველოს კეთილმეზობლურ დამოკიდებულების, თუმცა არ გამორიცხავს ორივე მხრიდან გარკვეული გაუგებრობისა და შეცდომის შესაძლებლობას; ასეთი ექსცესები არ უნდა იქცეს ორ სახელმწიფოს შორის პოლიტიკური დამაბულობისა და ამ ქვეყნების ისტორიულად მეგობარი

ხალხების ერთმანეთისადმი აგრესიულად განწყობის და ურთიერთობათა გაწყვეტის საფუძვლად.

6. საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს მზადყოფნას, თავისი კომპენტეციის ფარგლებში ნებისმიერ დროს კონსტრუქციული დიალოგის გზით მოაგვაროს საქართველოსა და რუსეთს შორის ბოლო დროს შექმნილი პრობლემები, და მოუწოდებს ორივე სახელმწიფოს ხელისუფლების ყველა შტოს ურთიერთობის ნორმალიზებისაკენ.

თბილისი, 2001 წლის 12 ოქტომბერი.

(საქართველოს პარლამენტის არქივი)